



საგზაო

№ 377

გაზეთის ფასი:

წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 ან ცალკე ნუმერი ერთი შაბათი **ღამაბამით** 7 კ. წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კი დევნაწილად

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველი რეკლამის პერიოდში ღირს 15 კ., უმარტივესი 40 კ., სხვა ადგილებიდან კაცისის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პერიოდის ტექსტის წინ 30 კა., უკან 20 კა. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითო-ჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 4 მ., 2 საათის შემდეგ 5 მან.

სოციალური საპროლეტარო და სალიბერალური გაზეთი.

ღრმად დამწუხრებულნი ივანე მესხი, მეუღლე მისი ივლიტე, ნოე, ჩიტო და კუკური მესხები უგულუთადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ კვირას, 5 ივნისს, გადაიკვალა პირველთა უსაყვარლესი ქალიშვილი და მეორეთა და

ნატაშა (ნატალია) მესხი.

დაკრძალვა მიცვალბულისა დანიშნულია საფლავის სასაფლაოზე კვირას, 12 ივნისს, ნაშუადღევს 5 საათზე.

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი დეკანოზ იოსებ წერეთელი და მეუღლე მისი ელისაბედ მოსეს ასული; შვილები: მღვდ. ვარლამ, ვიქტორ, ანა, ეკატერინე, ნიკოლოზ, ვლადიმერ და თამარ წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ 29 მაისს ავსტრიის ფრონტზე მტერთან ბრძოლის დროს გმირულად მოკლულ იქნა პირველთა ძვირფასი შვილი, ხოლო უკანასკნელთა დაუფიქარი ძმა კორნეტი ცხენოსან კაბარდინის პოლკისა

დავითი (გუგული)

დაკრძალვა მოხდება სოფ. ითხვისში, ოთხშაბათს, 15 ივნისს, ამავე სოფლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სასაფლაოზე. 2—1

ვენახის საწამლათ.

იყიდება ცნობილი ჟაკენის სითხე, ტოპელიც ვაზს იცავს შეძვეს სეკულებსაგან: მიღებულიდან, იოდულიდან და სხვადასხვა მანეჟი შექმნილია. ამ სითხით წამლბენ შვიდი წლის განმავლობაში და ნაყოფიც დიდია.

წამლობისათვის საჭიროა კოლოფი (ფენილი) „ბრინჯაოსა“. იყიდება აგრეთვე პულვერისატორი და სამარგული მანქანა ვენახებისათვის.

მისამართი: სავაჭრო სახლი „კლოვერული“ ქუთაისი, კახიანოური. თვ.

კვირას, 12 ივნისს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დაწესებით დანიშნულია „სინათლის“ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება.

პარტიის წინაშე: 1) კრების თავჯდომარისა და მდივნის არჩევა; 2) შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება საზოგადოებისა და სასწავლებლების შემოქმედების შესახებ; 3) სარევიზო კომისიის მოხსენება; 4) მომავალი წლის ბარჯთაღრიცხვა; 5) მოხსენება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ; 6) მოხსენება ადგილის შექმნის შესახებ; 7) გამგეობისა და სარევიზო კომისიის წევრთა არჩევა ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც წესდების მიხედვით სამსახურის ვადა უთავდებათ. ეს კრება დანიშნულია ნაცვლად იმ კრებისა რომელიც არ შესდგა 5 ივნისს და ამიტომ კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს

განცხადება

აფთიაქების საურაღდეგოთ საფაღარათო ზეთი (სლბიტელი), ინგლისური მარბი (ანგლისკ სოლ), სასმელი სოდა და გლიცერინა. 5—2

აქიძი გაბრიელ იოსების ძე **გოგიანი**ს ელექტრონიკისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავთომელოების მიღება დღის 9—12 საათ. საღ. საათ 6—8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

აქიძი **მუხომნი**. ყელის, ცხვირის და ყურების ლეზიონებს ავთომელოების მიღება დღის 2—3 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70, სახლი ქიხოსროს ჯაფარიძისა. 10

აქიძი **ი. ჩაბაძოვი** ქალაქ. სავაჭრო-ყოფის ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიული და სიფილისიანი ავთომელოებს. (სისხლში შესწმა „606“ და „914“) დილით, 12¹/₂ საათ. საღ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ლოპტორი მელიციონისა პრივატლექნიკი **3. ა. გოგიაშვილი** მაილეს შინაგანი და სურეების ვადამუფთობათ სნეულეს დღის 8 ს. ნაშუადღევს 2 საათამდე და საღამოს 6 ს. — 8 საათ. 2 ასპიტლის ქუჩა № 6 თ.

აქიძი **ა. მ. ასათიანი**. რადგანაც სამსახურის გამო კესტუკში გააწვიეს მინერალურ წყლებს ჯგუფის კეშიდ მან ავთომელოების მიღება 1 აგვისტომდე შესწავლა.

გაგონილი მასწავლებელი სტუდენტი ამხადებს მოწაფეთ ვეულა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში. მისამართი: ვაზ. „საგონალის“ რედაქც.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

სუთშაბათიდან, 9 ივნისიდან ასხდა პროგრამა.

პატი შუხრალი № 344. მიმდინარე ამუბი.

სიეგარული ძლიერია არა მარტო სვეენა-კონით

ძლიერი დრამა 4 ნაწ. მუხუხანის, დისენკოს, ორდოვისა და შანავის მიხაწილებით.

ანონსი: ორშაბათიდან, 13 ივნისიდან ნახევრები იქნება: **ტრანიზონის ალბა** სამწილიად. სუ-რათი ხუთ მოქ. შესანიშნავი მომენტები: 1) „გებენთან“ და „ბრესლუსთან“ ბრძოლა, 2) ბოსტან ფაშის კორპუსის გაქცევა, 3) ბევ ტერპესის მალდობაში ბრძოლა, 4) რუსის ჯარის შესვლა ტრანიზონში.

რებათ დაღუბვა

დრამა ორ წილიად საუკეთესო მსახიობთა მიხაწილებით

ანონსი: ამ მოკლე ხანში ნახევრები იქნება მეტად საინტერესო, სენსაციური სუ-რათი სამ სერიით და 12 წილიად კუპრინის **მ. მ. ი.**

ელექტრო „ამერიკი“ თეატრი

სუთშაბათიდან, 10 ივნისიდან ასხდა პროგრამა.

40 წელი.

ღრამატიული ლეგენდა გომონის ქრონიკისა ლ. ნ. ტოლსტოის ვერსიიდან 4 ნაწ. უმთავრესს როლს შეასრულებს **პ. ა. ბაქშაშვი.**

ანონსი: ორშაბათიდან, 13 ივნისიდან **გომონის ქრონიკა** მიმდინარე ამუბი.

მიძინებული სებადა ანუ ხე სიკვდილისა.

ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან დივესისა, გოვრილისა, ბურლანოვისა და დანოვინსკის მიხაწილებით. მიხაწილებით საინტერესოთა თეატრის მსახიობი ქ. ნ. სიმონოვისა.

ადგილების ფასი „ამერიკა“ და „რადიუმში“; ღირება 85 კა., 1 ადგ. 75 კა., 2, 50 კა., 3, 30 კა. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კა., ჯარის კატათვის მესამე ადგილი 20 კა.

განცხადება

კოოპერატივის საშუალოდ საფაღარათო მიღებულა დიდძალი **ლათიკო ქეხაძის** ღამისი შუბა № 11, 8, 5. და იყიდება ზომიერ ფასებში. 5—2

ისოფლიო ომი.

ღამაბამი.

შაბაღისი მთავარსადლის შაბაღისა. დასავლეთის ასხარეზი. ტევა დაიწყო ხშირი წრებით, მაგრამ დი-დად დავაზარალეთ და გავფანტეთ. მდ. სტრიხე სოფ. სოკულის დასავლეთით მტრის იერიში კონტრიერიში მოვიგერიეთ და თან წამოვიყვანეთ 600 კაცი ტყვეთ და რამდენიმე ტყვისმტრქვეველი წამოვიღეთ. ამავე მიდამოებში მილსკის მხრიდან მტრის მძიმე არტილერია ქარიშხლისებურ ცეცხლს ანეთარებეს. რამესტოს მიდამოებში (სვინდიის დასავლეთით) და ვორანჩიის აღმოსავლეთით უმთავრესი საარტილერია ბრძოლა გრძელდება. ჯარისკაცები გაჯავრებული იყვნენ იმით, რომ მტერი გასასკომ ტყვიებს ხმარობდა. ტყვეთ წამოვიყვანეთ 4 აფიცერი 214 ჯარის კაცი. იაროსლაველ მამად ლრუენის კომანდირი დაიჭრა და ბრძოლის პირზედვე დარჩა. მდ. სტრიხაზე სოფ. ვაიგორონკის დასავლეთით მტრის რამდენიმე თხრილი დავაპარიეთ. მტრის დევნა განაპირა მარცხენა ფროთზე კვლავ გრძელდება. ჩვენ დაიპყართ ქალაქი რადაუცი. მტრის დევნის დროს დავატყვევეთ 22 აფიცერი და 1000 ჯარისკაცი, ხელთ ვიგდეთ ტყვის-მურქვეველი და 27 მისი ბუღე.

ლონდონი. 9 ივნისი. ოფიციალური ცნობა აფრიკიდან. 6 ივნისს გენერალ მაიორ ხსინის დივიზიამ დაიპყრო ლონდონი, მტერმა რამდენიმე ზარალით ცენტრალურ რკინის გზისკენ დაიხია. სა-მხრეთ ასპარეზზე ნიასის ტბის თავთან გენერალ პრიგადიორ ნოროსეს ჯარმა დაიპყრო ალილაჰნაბურგი. 31 მაისს გერმანიის ახალშენების ჯარმა იერიში მიიტანა ინგლისელებზე, მაგრამ უშუქვეულ იქნენ ჩრდილო აღმოსავლეთით. ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში ბელგიელებს უპყრიათ ტემბის ტანგასა და აინს შუა ხაზი, ვიქტორიის სამხრეთ-დასავლეთ ნაპირთან.

პარიზი. 8 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. მასის მარცხენა ნაპირზე მორტკომის სამხრეთ კალთებზე ფრანგების მიერ ახლად დაპყრობილ სა-ნგრებზე გერმანელებმა იერიში მიიტანეს, მაგრამ ფრანგებმა იერიში მოიგერიეს. მასის მარჯვენა ნაპირზე 320 სი-მალეთსთან ფორტ ვოს სამხრეთ-დასა-ვლეთით პაპიტრ-ფიუმენ-ლე-შენ-უას ფრანგთა პოზიციებს გერმანელები მთელი დღე სხვილი ყლიბის ზარბაზნებს უშენდნენ, ხოლო შემდეგ კორჯერ ზედიზედ იერიში მიიტანეს. მაგრამ ფრანგთა ტყვის მფრქვეველთა ჯვარედინი ცეცხლის წყა-რით.

ოქის დღიური.

ალმოსავლეთის ასპარაჟი. დღინაზე არტილერიის ცეცხლს გერმანელები აძლიერებენ. ვარშაის რკინის გზის გასწვრივ გერმანელების იერიში რუსებმა მოიგერიეს. პონევეჟის სამხრეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს რუსთა სანგრებზე და რამდენიმე ხნით ჩაიკეტეს ცეცხელი. დაბა კრევის სამხრეთით გერმანელებმა გადმოიხადეს მდ. კრევილიანკა, მაგრამ რუსებმა უკუაქციეს და ისევ წინააღმდეგობა გაუწიეს. რუსებმა ჩამოაგდეს გერმანელთა ორი პარაშოტანი. სოფ. გრუზიანთან გერმანელები იერიშით წამოვიდნენ, მაგრამ რუსებმა გაფანტეს ისინი. სტოხოლზე მძაფრი ბრძოლებია. მდ სტრიაზე რუსებმა გერმანელთა რამდენიმე სანგარი ჩაიკეტეს ხელში. იაროსლავის დრუჟინის უფროსი დაიჭრა, მაგრამ ბრძოლაში მონაწილეობას განაგრძობს. ბუკოვინაში რუსებმა აიღეს ქალაქი რადიუცი. დღის განმავლობაში რუსებმა დაატყვევეს 26 აფიცერი და 1814 ჯარისკაცი. შავ ზღვაზე რუსის ნაღმოსანმა დაღუპა 5 იაქინიანი ნავი და რამდენიმე ფელიცა. დაიღუპა რუსეთის სამგზავრო გემი „მერკური“.

პავსანის ასპარაჟი. მდგომარეობა უცვლელია.

იტალიის ასპარაჟი. მთელ ასპარაჟზე გატოვებული პატარ-პატარა ბრძოლებია არტილერიისა და ქვეითა ჯარისა. იტალიელებმა ავსტრიელთა სამი პარაშოტანი ჩამოაგდეს.

დასავლეთი ასპარაჟი. ვერდენთან მასის მარჯვენა ნაპირზე, ფორტ ვოს სამხრეთ დასავლეთით გერმანელებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ ძლიერი იერიში მიიტანეს ფრანგთა პოზიციებზე და ტყის ნაწილი აიღეს

ლობით ორივეჯერ იოტეს დიდის ზარალით. დანარჩენ ასპარაჟზე საარტილერიო ბრძოლა იყო. მფრინავთა მოქმედება: 8 ივნისს ღამე ერთმა ფრანგმა მფრინავმა 210 ყუმბარა ჩამოაგდო სად. არანვილზე, 276 ყუმბარა მეტის სადგურის სამხედრო შენობებზე.

პაპრი. 8 ივნისი. ბელგეთის ოფიციალური ცნობა ბელგეთის ასპარაჟის სხვადასხვა ნაწილში საარტილერიო ბრძოლა, განსაკუთრებით დიქსმიუდეს ჩრდილოეთით მდებარე მიდამოებში. სტენსტრატესთან ყუმბარებით ბრძოლა.

პარიზი. 8 ივნისი. დღის ცნობა სომხის სამხრეთით მოკურის წინ გერმანელთა რაზმი ფრანგთა პოზიციებისკენ მიიწვედა, მაგრამ თოვის სროლით უკუაქციეს რეიმის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელებმა ორი ნაღმი ააფეთქეს და შემდეგ იერიში მიიტანეს ფრანგთა სანგრებზე 108თან ბერიობაკის სამხრეთით, მაგრამ დამარცხებულ იქნენ. მდ. მასის ორივე ნაპირზე ღამის განმავლობაში ორივე მხრით არტილერია ძღვავრად მოქმედებდა.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ოსმალეთსა და რუსებს შორის მესოპოტამიაში მდ. ტიგროსთან დიდი შეტაკება მოხდა. ბრძოლა რუსების სასარგებლოდ დასრულდა. რუსებმა 200 იარღის მანძილზე წინ წაიწიეს.

საქართველოს ურთიერთობა ინგლისთან.

ისტორიული ცნობა.
(დასასრულა იხ. „სამშობ.“ № 376)

მეფე ერეკლეს მოწყალებამ გააჩინა საქართველოში სომხის თავდაზნაურობა. მეფე ერეკლეს გულკეთილობამ გააძლიერა ეს თავდაზნაურობა და მათ აჩუქა აუარესებელი მამული. მამულთან ერთად მეფე სომხის თავდაზნაურობას ქართველ გლეხებს ყმებად აძლევდა. მეფე ერეკლეს მფარველობით შეისხეს ხორცი თფილისის ვაჭრებმა და მისივე დახმარებით ჩაიდგეს პირში სული. დღეს კი ეს ხორც-შესხმული თფილისში როგორც მელურად ეპარებიან ქართველებს, გველურად ჰკებენ და ამას ანგარიშს არავენ უწყევს. ეს ცნობებიც აქ შემოკლებით „მოვიყვანეთ. დაუბრუნდები ისევ შეერთების პირობებსა და მის ამბებს.

ერთის მხრით რაკი სომხის სამღვდლოებამ შეიტყუა ის აზრი, რომ მეფე ერეკლემ სომხეთის სამეფო უნდა აღადგინოსო, ამიტომ მათმა მდიდრებმაც უფრო გაახურეს საქართველოში გადმოსახლება და თფილისში გამრავლება.

საქართველოს ინგლისთან დაკავშირების შესახებ მოლაპარაკების შემდეგ, იაკობ შახრიძისა და მეფე ერეკლეს, ინდოეთიდან სხვადასხვა ძვირფასი წიგნების დიდი ძღვენი გამოუგზავნა და თან-იმ ძღვენს საელჩო კაცებიც გამოაყოლა.

რამდენიმე ხნის შემდეგ შახრიძის ინდოელი კაცები მეფე ერეკლეს დიდი ძღვენით გახლენ; მეფეს მიაართეს ძღვე-

ლიის გემი „მეირი“ ნაღმს წააწყდა და დაიღუპა.

ჩერნოვიციდან მცხოვრებთა უმეტესობა უკვე გასული ყოფილა, ვიდრე რუსის ჯარი ქალაქს აიღებდა.

ჩერნოვიციდან გაქცეულმა ავსტრიის ქვეშევრდომებმა ბუქარესტის მთავრობას სთხოვეს, ნება დართოს, შიდა ავსტრიაში გადასასვლელად, რუმინის მიწა წყალზე გაიარონ. რუმინის მთავრობამ ავსტრიელ ქვეშევრდომთა თხოვნა დააკმაყოფილა.

იტალიის ასპარაჟის შესახებ გაზეთი „ტანინი“ სწერს: იტალიელები ვერაფერი მიემორბენ არიან. როდესაც ჩვენ 1912 წ. იტალიასთან ტრიპოლისში ომი გვქონდა, ყოველდღიურ ბრძოლაში ყოველთვის იტალიელები მარცხდებოდნენ.

ერთხელ ერთ პატარა შეტაკებაში ენვერ-ბეიმ 10000 ტყვე წამოახსა. ამ ემად თუ იტალიის ჯარს სიმამაცე ეტყობა, ამაში ალბების ვეჯაკ მსროლელებსა და ვენეციის კორპუსებს უნდა უმაღლოდენო.

გალიციის ასპარაჟის შესახებ „ტანინი“ სწერს: ისეთი სისწრაფე წინსვლისა, როგორც გალიციის ასპარაჟს დღეს ხდება, ჯერ ამ ბრძოლებში ჩვენ არ გვახსოვსო. ჩვენი მოკავშირე რუსები ქალაქ ქალაქზე იღებენ და შიდა ავსტრიის ემუქრებიანო.

ვერდენის ბრძოლაში დაიღუპა რუსი ემიგრანტი ექიმი ბორის გორბაჩევი.

ნი, გადასცეს წერილები და აუწყეს ყველა დანაბარები. მეფემ კეთილ ინება და პატივისცემით მიიღო ყოველივე და ნიშნად თვისი ერთგულებისა და პატივისცემისა, იაკობ შახრიძის უბოძა თვადიშვილობა და მამულებათ აჩუქა მთელი ლორისა და ბორჩალოს მხარეები. მალე ამ დიდი მამულების საბუთიც გააკეთეს და ელჩებს გადასცეს შახრიძისაზე გადასაცემით. მეფე ერეკლეს ბრძანება ასე აცნობეს იაკობ შახრიძისა:

მეფემ კეთილ ინება და გიჟყალობათ საქართველოს თავადისშვილობის ღირსება.

გეგობათ აგრეთვე მამულებათ მთელი ლორისა და ბორჩალოს მხარის ქადღილები, სოფლები, ხალხი, ტყეები და ყველაფერი. მთელი ამ კუთხის მთავარი თქვენ იქნებით და დღეიდან ეს მამულები თქვენს საკუთრებათ დაიკორნებოთ. ეს ამბავი და მიწერ-მოწერა მოხდა 1790 წლის შემდეგ. ამის შემდეგ მთელი ლორისა და ბორჩალოს მამულები დარჩა იაკობ შახრიძის საკუთრებათ. თვით ეს პირი საქართველოში არ მოდიოდა. თუმცა მოლოდინი ყოველთვის ჰქონდათ, როგორც მეფე ერეკლეს, ისე სომხის ხალხს თფილისში.

ამასობაში მოხდა 1795 წ. უბედურება. ამ გარემოებამ მეფე ერეკლე გამოაფხიზლა. მან მიმართა ვერდენის სახელმწიფოს 1798 წ. სწორედ თვით მეფის ერეკლეს გარდაცვალების ცრუ წიგნი, ინდოეთშია კი მოკიქულად კაცი გაუგზავნა იაკობ შახრიძისს ეს მოკიქული გახლდათ თფილისელი მოქალაქე, ქართველი კათოლიკე რაფიელ დანიბეგოვი, რომელ-

ვერობის ერთ-ერთ ჟურნალში დაბეჭდილია ვერდენის ბრძოლის საშინელება. ვერდენის ის მიდამო, სადაც კი არტილერია მოხვდა, დაზარალებულ ქვესენებს წარმოადგენს. არსად გზები, არსად სწორი მიწა, ყველაფერი განადგურებულია. საუკუნოებით ნაშენი ფორტები ასი წლის წინად ფეოდალურ დანგრეულ კოშკებს მოგავსებენ ვერდენის მთავარი ციხეები ხაზი უკვე შემოეცალა და ახლა გერმანელები მის უკანასკნელ ხაზს უშენენო.

ჟურნ „დე ბალკანეში“ დაბეჭდილია ვინმე „სტრატეგის“ წერილი, სადაც ავტორი ეხება მომავალ ვერდენის რუქას (ქარტა) და ამბობს: შეიძლება ოსმალით მთლად გამოემშვიდობოს ვერდენის სამხედროდგომი, ხოლო თუ ცენტრალ-სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს, მაშინ სამაგიეროს ეგვიპტეს დაიბრუნებო.

ენვერ ფაშის უთქვამს: დღეს ჩვენთვის ბალკანეთის მდგომარეობა უფრო სახიფათოა, ვიდრე აზიისაო. თუ რუმინია და საბერძნეთი შეთანხმების სახელმწიფოებში მიიხრბეს, კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავევარდებითო.

სულდანის სულთანს განუცხადებია: ჩვენ სულთა და გულით თანაფერხობით ერთ-მორწმუნე ოსმალეთს, მაგრამ გვეშინიან, რომ მისმა მტრებმა გაიმარჯვონ და უფრო ცუდ პირობებში ჩაგვყენონ, ვიდრე ამ ემად ვიმყოფებითო.

გერმანიაში წელს ქირაზხულის მოსავალი წინა წელზე უფრო ცუდი ყოფილა.

რიხესთან ჩამოხრულ საღაზრეთო გემის „პორტუგალიის“ ბაირალი ერთ რუს მეზღვაურს დაუტყერა ზღვაში. ბაირალი პეტროგრაღში მიიტანეს და საფრანგეთის საელჩოს გადასცეს.

„ტანინი“ ავგვიწერს ბულგარლების მიერ ფორტ „რუპელის“ აღებას: ბულგარეთის ჯარი, გერმანელ აფიცრების თანხლებით, მიჭრილა „რუპელის“ ფორტთან. ამ დროს საციხო ზარბაზნებიდან სროლა აუტყებიათ ბულგარეთის ჯარი უკან გამობრუნებულა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბერძნებისთვის თავის რწმუნებული მიუგზავნია და უთხოვია სიმავრის გადაცემა. ბერძნები დათანხმებულან.

თანდათან ირკვევა იუანშიკის სიკვდილის საიდუმლოება. „ასაქის“ კორესპონდენტი სწერს: წინა დღით პრეზიდენტთან სადარბაზოდ იყო ერთერთი პროვინციის ჯარის სარდალი და პრეზიდენტიც იმან მოწამალა.

საც მგზავრობის წინად, მეფემ აზნაურობა მისცა. მოკიქული ვაგებზარა ინდოეთს და 1798 წ. ბოლოს უკვე მიადწია იაკობ შახრიძისთან.

ამ დროს იაკობი თურმე ცოცხალი აღარ იყო, იგი 1797 წ. მომკვდარა. დარჩენილა მისი შვილი. რაფიელ დანიბეგოვი მეფის დაბარება და წერილები შახრიძისანს შვილს გადასცა და მეფე ერეკლეს შეთვლილი დავალებაც აუწყა. რაფიელ დანიბეგოვი იქ დარჩა კარგა ხანს და ბოლოს შახრიძისანს შვილმა იგი საქართველოში გამოისტუმრა და თან მეფე ერეკლესთან გამოატანა თავისი დაპირება და შემდეგი შემოეთვალა:

მამაჩვენი გარდაიცვალა და ჩვენ გვაუწყა თქვენი მოწყალების ცნობები და დავავალა, რომ ჩვენ შევასრულოთ მათი წადილი—გადმოვსახლდეთ საქართველოში. რაფიელ დანიბეგოვი წამოვიდა ინდოეთიდან და ეს ამბავი წამოაღო მეფე ერეკლეს. ეს მოვიდა საქართველოში 1800 წლის დამდეგს. ამ დროს მეფე ერეკლე მკვდარი იყო და ამიტომ დანაბარები ამ ბავი ერეკლეს შვილს გიორგის გადასცა.

გიორგი მეფემაც მამის ბრძანება შეასრულა. ლორისა და ბორჩალოს მამულები შახრიძისანს შვილის საკუთრებად დასტოვა. ამ დროს შემდეგი ამბავი მოხდა: საქართველოს ამბებს დიდათ თვალყურს ადევნებდნენ სომხები, ნამეტურ ასტრახანელი სომხები. აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამ დროს მოხდა სომხთა ღვენა. სომხები შეიკრიბნენ ერთ ალაგას და ასტრახანელი სომხების დახმარებით, რუსეთის იმპერატორს პავლეს მიმართეს და შემდეგი სთხოვეს:

„ნება ჰქონდეს“ სწერს: საბერძნეთი უკვე აშკარათ გადავიდა ცენტრალ-სახელმწიფოების მხარეზე. თუ არა ძალით, თავისი ნებით ძალიან საეჭვოა, რომ საბერძნეთი ჩვენს მხარეს გადმოვიდესო.

ოსმალეთის სომხეთის ნაწილში, კილიკიაში, სტამბოლის მთავრობას ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე აყრილი 20000 მაჰმადიანი გადმოსახლებია

სამხედრო მიმოხილვა

ბრძოლის ასპარაჟის გაფართოება. ორი ჩვენი მოსაზრება გალიციის ბრძოლის შესახებ, როგორც თანდათან ირკვევა, მართლდება. როგორც აღწინააღმდეგო რუსთა წინსვლა სრულიად შესწყდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბუკოვინაში ქ. რადიუცის დაპყრობას. რუსის ჯარი ანგარიშს უწყევს ავსტრიელთა სიმკვეთრეს და უფრო ფრთხილად იქცევა.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ბრძოლის პირი გალიკიაში სამ ალაგას არის გამოწვეული რუსებისაკენ და ამ გამოწვეულ ნაწილებში მედგარ იერიშებს აწარმოებენ. ამ შემთხვევაში გაწეულ ადგილებზე წინ წაწევა სახიფათო იქნებოდა თვით რუსებისათვის, რადგანაც მოსალოდნელია მოწინააღმდეგე, ამ შემთხვევაში სრულიად მოსტრას წინ წაწეული, სოლიდით შეჭრილი ჯარი.

ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია დაკვირვებული ადგილობრივი ბრძოლების წარმოება.

კვლავ სწარმოებს ძლიერი ბრძოლა სოფ. გრუზიანის გარშემო და ჯერაც არა სჩანს ვისკენ გადაიხრება ბრძოლის სასწორი. ორივე ტყვე რუსებმა რომ ჩაიგდეს ხელში, სახეში მისაღები არ არის. რადგანაც აქ წარმოებულ ბრძოლებთან შედარებით მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მეორე ჩვენი მოსაზრებაც ბრძოლის ასპარაჟის გაფართოებისა გამოართდა. მდ. დღინაზე გერმანელები არტილერიის ქარიზხალისებურ ცეცხლს ანვითარებენ. ვიშნოვსკის ტბის სამხრეთით და სმორგონთან გერმანელებმა ჯერ მძიმე ზარბაზნები დაუშინეს რუსთა პოზიციებს, მხოლოდ შემდეგ იერიშები მიიტანეს და აიღეს კიდევ წინა პირი სანგრებისა. რუსებმა მაშველი ჯარის შემწეობით და შესძლეს მათი უკუ ქცევა.

შევი არ არის; გერმანელებს ეს ახმაურება გამოწვეულია მათი სურვილით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ჩრდილოეთ ასპარაჟზე შემოკონ რუსთა ძალები და არ მოიშველონ გალიკიაში. გერმანელთა აქტიურ მოქმედებას აწარმოებენ ადგილო ბრძვი ძალები და რაც გუშინ ვსთქვი

აღმოსავლეთის ქვეყნების ამა და ამ კუთხეში სცხოვრობს სომხის ხალხი, რომელიც მუსულმანთაგან იჩაგრება, ამიტომ გვიშუამდგომელი გიორგი მეფისთან, რომ ეს სომხები მან საქართველოში მიიღოს და დასახლოს. მართლაც, პავლე იმპერატორმა ინება შუამდგომლობა და მეფე გიორგის წერილი მისწერა და სთხოვა:

„სომხები მთხოვენ, რომ თქვენ უმაღლესობას დაგავალო შემდეგი: სომხები ქრისტიანი არიან, ამა და ამ კუთხიდან, თხოვენ, რომ კეთილ ინებოთ და ნება მიცეთ, ეს ხალხი იქიდან თქვენს ქვეყანაში გადმოსახლდენ და დასახლდენ. ეს თქვენის სამეფოსთვისაც კარგი იქნება, ვინაიდან სომხები ქრისტიანები არიან და თქვენს ქვეყანასაც კომპოზას გაუწყვენო“.

მეფე გიორგიმ პავლე იმპერატორს კეთილი თვლით შეხედა, უარი ვერ გაუბედა და მალე მისწერა თანხმობის პასუხი და თან აცნობა:

„ნებას ვაძლევ, თქვენის ხათრით, რომ სომხები საქართველოში გადმოსახლდენ და დასახლდენ ლორისა და ბორჩალოს იმ ადგილოებში, რომელიც ადგილებიც მეფე ერეკლემ ინდოელ სომხს იაკობ შახრიძისანს აჩუქაო. ის შახრიძისანი აქ არის, დასახლდენ მის მამულებზე და როცა შახრიძისანი მოვა საქართველოში, მაშინ ბარკი იმას აძლიონო. ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო,—სომხებსაც ეს უნდადათ ეს სასიხარულო ამბავი პავლე იმპერატორმა მალე აცნობა ასტრახანელ სომხებს. ამით აღმოსავლეთის სომხებს დაუყოვნებლივ შეატყობინეს და 1800 წლის შემოდგომამდის, ესე იგი მეფე

ავსტრიელთა მოქმედებამ, იგივე უნდა ითქვას გერმანელთა მოქმედებებზე. ამ ყამად სხვა ასპარაჟზე დახმარებული მდგომარეობა ნებას უწყობს მათ მოიშველონ იქიდან, რა უნდა მოხდეს საკვირველი არ იქნება, თუ მოხდება სძლიეს წინააღმდეგობა გერმანელებისა და ავსტრიელებისა და კვლავ წაიწიონ წინ.

სულთმასულის წარდგენა საგარეო მთავრობისადმი.

ათინა. 8 ივნისი. ხვალ საბერძნეთს მოკავშირენი წარუდგენენ, ულტიმატუმს რომელშიაც აღნიშნული იქნება საბერძნეთის მიერ ნეიტრალიტეტის დარღვევა, რომელიც შემდეგში გამოიხატებოდა: არავითარი ზომები არ მიიღო საბერძნეთის მთავრობამ იმ უტხოველთა წინააღმდეგ, რომელნიც სიტყვით თუ საქმით მუშაობდნენ მოკავშირეთა სამტროდ; საბერძნეთმა წინააღმდეგობა არ გაუწია ბულგარეთის ჯარს, როდესაც მან საბერძნეთის საზღვარი გადმოიხადა და ფორტი რუჟელი დაიპყრო ყველა ეს გარემოება აიძულებს მოსთხოვონ საბერძნეთის მთავრობას გარანტია მოკავშირეებმა რომელთა არა თუ მარტო უფლებებს, არამედ მომალეობასაც შეადგენს საბერძნეთის ხალხის ინტერესების დაცვა, მხოლოდ ამისთვის მოკავშირენი საკიროდ სცნობენ მოწვევული იქნეს ახალი სამინისტრო და ახალ დეპუტატთა პალატა; სრულიად დემობილიზაცია ჯარისა და პოლიციელთა გამოცემა. ულტიმატუმში ნათქვამია, თუ ეს მოთხოვნებიანი ასრულდებიან არ იქნებიან, ის, რაც ამას მოჰყვება, იმაში ბრალი საბერძნეთის მთავრობას ედებოა.

სახელმწიფო სათათბირო.

სხდომა იხსნება 11 საათსა და 21 წამს, რომიანკოს თავჯდომარეობით.

ზაბახისეკა ამბობს, მთავრობა ჯერ უდროვით სცნობს გლეხთა უფლებრივ განთავსორების პროექტში შესწორება შეიტანოს, რასაც წინა სხდომაზე ზოგიერთი ოპოზიციონერი მოითხოვდაო.

საყენა აღნიშნავს, რომ გორემიკინმა გამოაცხადა, რეფორმები მხოლოდ ომის შემდეგ განხორციელდებაო. შტიურმერმა კი თავიდანვე სცნო რეფორმების განხორციელების შესაძლებლობა ომის დროს და მაშინვე შეტანილ იქნა რამდენიმე პროექტი საქალაქო, საერობო და სხვა დაწესებულებათა რეფორმისა.

მინისტრის ამხანაგი გეითიბებს ინგლისისა და საფრანგეთის მაგალითებზე, მაგრამ მას ავიწყდება, რომ აქ ბევრი ისეთი რეფორმა განხორციელდებოდა, რომელსაც ჩვენ სრულიად მოკლებული ვართო.

(გაგებლება იქნება).

გიორგის სიკოცხლემივე, გადასახლდნენ სომხები და დასახლდენ ლორისა და ბორჩალოს მხარეებში.

მცირე ხანს შემდეგ მეფე გიორგი გარდაიცვალა. ქართლი და კახეთიც რუსეთის იმპერიას დაუკავშირდა. ლორისა და ბორჩალოს მამულები, მეფე ერეკლეს ანდერძის ძალით, შახრიძისანის საკუთრებათ იქნა ცნობილი. ამ მამულებზე დასახლებულ მცხოვრებთ სომხებსა და სხვა გლეხებსაც ებრძანათ, რომ მამულის დღეა რუსის ხანისაში შეეტანათ, შახრიძისანის სასარგებლოთ, ასე და ამ სახით ეს მამულები დარჩა შახრიძისანების საკუთრებათ, ხოლო იგი-ნი კი საქართველოში არ მოდიოდნენ და მოსელის შესახებ არაფერი ცნობა მოდიოდა.

1844 წ. როცა საქართველოში, მთავარ მართებლად ჩამოვიდა გორონცოვი, მის ჩამოსვლის მცირე ხნის შემდეგ, ბორჩალოს მხარის მამულების ძველმა მებატრონებმა ბარათანებმა და ორბელიანებმა დავა ასტეხეს და მთავარმართებელს მიაართეს ასეთი თხოვნა და დავალები:

მეფე ერეკლემ თავის დავალებით ჩვენ ჩამოგვართვა მამულები და ყველა ეს ჩამოართმეული მამული ნიუბოძა ინდოეთში მცხოვრებ სომხს შახრიძისანს. აგერ უკვე 50 წელიწადი გათავდა, რაც მამულები უნაკრობოთ არის, მანვე მცხოვრებ გლეხებს გადასახადი ხაზინაში შემოაქცია და პატრონი კი მინც არსადა სჩანს, ამიტომ ჩვენ ვითხოვთ შემდეგ: რადგანაც მის შემდეგ, რაც მეფე ერეკლემ ეს მამულები მათ აჩუქა, 50 წელიწადი გავიდა და იგინი კი არსადა სჩანან, ამიტომ ვითხოვთ, რომ ეს ჩვენი მამულები ჩვენვე

ქართული პრესა.

საქართველოს ეკლესიის შესახებ და ქართულ ენაზე ბეჭდვების გაუქმების გამო გაზეთ „საქართველო“-ში ილ. ალხაზის მიერ სწერის:

იმ დროს, როდესაც ყველა ჩვენგანი, საქართველოს საკათალიკო ეკლესიის წევრები, სამართლიანად მოველოთ, რომ დღეს თუ ხვალ უნდა აღსდგეს ივერის ეკლესია, უნდა მოზოდეს და ქართველულს შავი-ძაბა სამოსელი და კვლავ გავივინდეს სასიხარულო დღე, აი, სწორედ ამ დროს თბილისიდან სინოდის კანტორა უზგავნის ბრძანებას მთელს საეპარქოსოს: ამიერიდან მოკლედ ეკლესიის ბეჭდვებზე ქართული ზედა წარწერა და ქართული მადევი სლოვიანური ასოები ამოსტერიოთ და თუ ეს ვერ მოხერხდა ახალი ბეჭდვები შეიძინეთ სლოვიანური ზედწარწერითა (შემთხვევით მქონდა უბედურება წამეკითხა ერთ-ერთი ბრძანება 30 აპრილიდან № 7949).

ახლა ვიკითხოთ, რა მოხდა იმისთანა? რამ გამოიწვია ეს დამატებითი აქტი ივერის ეკლესიის შეურაცხყოფისა. თურმე იცით რა მოხდა!

1836 წ. უწმინდეს სინოდს დაუდგენია, რომ საეკლესიო ბეჭდვებზე ზედწარწერა რუსულად, მხედრულ ასოებით კი არ უნდა იყოს საეკლესიო ბეჭდვებზე, არამედ სლოვიანური ასოებით იყოს. ჰო და კეთილი და პატიოსანი, ეს განკარგულება შეეცხება რუსეთის შიდა ეპარქიებს, ხოლო აქ რა შუაშია საქართველოს საეპარქოსოს, რომელსაც თავის განსაკუთრებული უფლებანი აქვს! მეორე საბუთად ის მოკლედ უთხარა, რომ ფოსტის უფროსმა მოიწერა, არ მივიღებთ უფასოდ ამას იქით იმ კონვერტებს, რომლის ბეჭდვებზე ქართული ზედა წარწერა ექნება. ნეტა თუ რომელია ფოსტის მოხელე ალმოაჩინა ეს მეორე ამერიკა?! მთელი ასი წელიწადი თუ კი ძალაში იყო ქართული ხელწარწერანი საეკლესიო ბეჭდვებზე, ახლა რა მოხდა! ნუ თუ ძალაში ვერ შევიდა მთელი საუკუნის განმავლობაში? თუ არა და დამისახელით თუნდ ერთი ფოსტის კანტორა, სადაც ჩინოვნიკებში ერთი ან ორი ქართველიც არ ერიოს, როგორ დავიჯეროთ, რომ ამ ბეჩაებმა ქართველმა ჩინოვნიკებმა ქართული წერა-კითხვა არ იცოდნენ. ბეჭდვის შუაგულში დახატულია (ამოპრილია) ეკლესია და გარშემო ქართული ზედწარწერა აქვს რომელი ეკლესიისაც არის.

—საინტერესოა ვიცოდეთ, წელიწადში რამდენ კონვერტს გზავნიან განა ადგილობრივი მღვდელი, ამ მსოფლიო ომის დროსაც კი, რომ ასეთი დიდი ყურადღებობა მიუძღვნა მის სამაგიეროდ მუშისგან ჩვენ სხვა არაფერი მივიღოთ რა, თუმცა იგი ამას დაგვირდა. ამასთანავე ამ 50 წლის განმავლობაში, რაც კი გვცემბისაგან ამ მამულების ხარჯია ვადახდელი და რუსის ხაზინაში შეტანილი, ის კი რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ დარჩეს.

ასეთ დავალებას ვორონცოვმა კეთილის თვლით შეგება, საქმეები გარჩინა და აღნიშნული მამულები ისევ ძველ მებატონებს დაუბრუნა. ამის შემდეგაც კი შახრამიანის შთამომავლობიდან საქართველოში არაფერი მოსულა. ბოლოს მინც ეს მამულები ისევ შახრამიანის სახლის მექონაში არაფერი, მანათაშოვმა და სხვებმა დაიბრუნეს უკან ფულად.

1801 წ. შემდეგ, რაფელ დანიბეგოვი რუსეთში გადასახლდა საცხოვრებლად, იგი სცხოვრებდა მოსკოვში იქ მან ქართულს ენაზე დასწერა თვისი მოგზაურობა საქართველოში ინდოეთამდის, მერე ეს ქართული წიგნი რუსულად სთარგმნა და 1813 წ. მოსკოვში ცალკე წიგნად გამოქვდა. წიგნი პატარა ზომისა არის. ამ წიგნში ერთ ალაგს დანიბეგოვი სწერს:

„მე თვლილის ქართველ აზნაურის—შვილს, მეფე ერეკლესაგან მებრძანა ინდოეთში მგზავრობა და მოკლულობის გაწევა მოდროსსა და კალკუტაში მცხოვრებ მდიდარ იაკობ შახრამიანთან, ვისის მეთაურობითაც ინგლისის მთავრობასთან მეფე ერეკლეს 28 წლის განმავლობაში მიწერ მოწერა ჰქონდა. ამიტომაც მე ეს მოგზაურობა ავსწერე და დავბეჭდე რუსულ ენაზე“.

ამ წიგნიდან ვიცით მხოლოდ, რომ საქართველოსა და ინგლისის შორის 28 წლის

დღეა მიუტკევიით ფოსტის მოხელეებს. ან და თვით კონვერტზე მისაწართი ხომ რუსულად აწერია და ისიც კერძო კაცთან კი არა სასულიერო დაწესებულებასთან. მოდი და ნუ გავახსენდება მგლისა და ბატკნის არაკი—წყალს მიმღვრე და უნდა შეგვაპოო.

ყოველივე ეს დიდაც სასაცილოა, რომ სატირელი არ იყოს.

ვიღრე ვოსტორგოვი და კომპანია ცოცხალია, ბევრს ამ გვარ სიურპრიზებს უნდა მოველოდეთ. აბა გაიხსენეთ ამ რამდენიმე თვის წინეთ ხომ ის უქაზიც გამოვიდა—ნათლობის დროს ბავშვს მხოლოდ ის სახელები უწოდებოდა სახელიც წმინდანებში მოიპოვებოდა. ესე იგი ამ განკარგულებით თუ ითავსება ახლანდელი ქართული ორიგინალური სახელი ამიერიდან უნდა მოისპოს. თუ ასე დიდად ზრუნავენ ქრისტეს მორწმუნე ქართველებისთვის რატო ის კი აღარ აგონდებოთ, რომ მთელს საქართველოში ქართული კურთხევის აღარ მოიპოვებოდა, რომ მღვდელთმკმედებს შეასრულონ და არც ნების აძლევდნენ ლოსტორგოვები და მისი კომპ, რომ ეს აუცილებელი საჭიროება დაკმაყოფილდეს—დაიბეჭდოს კურთხევის ვანი, რომ მღვდელს შეეძლოს ყოველივე წესის შესრულება.

რუსული პრესა.

ბარკოვი დაატუსაღეს მუშათა გაზეთის „ნაჩლო“-ს რედაქტორი. ამავე დროს ბევრი გაუზიარებდა და დაუტუსაღებდათ. ვაჩხრიაკეს აგრეთვე რამდენიმე ნაფიცი ვეტილი და სტამბები ამის შესახებ პეტროგრადელი „დენი“, სხვათა შორის, სწერს: „რედაქციონერთა წყალი კვლავ აიშვარა და დამაბს სულში ჩავადოს ხაღხის უფლებს, მათთვის არავითარი დადაი მოაგვას ან არსებობს. ასინი კვლავ ძველი სთავაღეებით იტკებთან და არაფერ კეთილმოაიღურს ან ინდაბეჭდო“.

ბარკოვი გრძელდება პედაგოგთა ყრილობა. ყველა რუსული პროგრესული გამოცემა ყრილობას დიდის თანაგრძობით უმხობდა და იმედს გამოსთქვამენ, რომ მისი მუშაობა რუსეთის სწავლა-განათლების საქმის მოსაწესრიგებლად ნაყოფიერი გამოდგება. სხენებულ ყრილობის შესახებ იუზენი კრია“ სწერს:

„შეტად შეუფერებელ დროს იქნა მოწყვეტილი ჰედაგოგთა ყრილობა დღეს ჩვენ ხაღხის უმთავრესი უფადაღება მიქცეულია ბრძოლის ვულისკენ, მაგრამ, მიუხედავად ამის, ყრილობას ჩვენ მანდ დადაი ასგარეში უნდა გავუწიოთ და შეგძლება ით მას ამ საძნელეს საკითხის გადაჭრა, მასაც უწოდება სწავლა განათლების საქმე, რომელზეც დამყარებულია ჩვენი მთავარი კეთილდღეობა“.

განმავლობაში ყოფილა მიწერ-მოწერა და ელჩების გავზავნა-გამოგზავნა. სხვა ცნობები ჩვენ არა გვაქვს, თუ ამდენი ხნის განმავლობაში როგორი მიწერ-მოწერა იყო გამართული.

ქართველების დახლოვება ინდოეთ-ინგლისთან ვაჭრობის აღნიშნული დღეიყურ და ამითვე გავათავებთ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ 1797 წ. ინდოეთში საქართველოდამ გადასახლდა იმ დროს, მეფე ერეკლეს კარზე კარგად ცნობილი ლუკა ისარლოვის შვილი გიგო ხურსიძე ისარლოვი, გიგო ინდოეთში დარჩა და იქ დაკოლონებდა და აღემ-მიცემას მისდევდა. აღემ მიცემით იგი ისე დაწინაურდა, რომ 1830 წლებში მილონიერად ირიცხებოდა. გარდაცვალების ცოტა წინეთ, ამან მთელი თავისი ქონება მადროსეს ნატაროუსის წესით სულ საქართველოში მყოფს ნათესავებს დაუტოვა. ეს ანდერძის წერილი ინგლისურად დაწერილი მერე გიგოს მემკვიდრე ნათესავებს მოუვლიდათ საქართველოში და დღესაც ამით ხელშია დატული.

აი, მეორე ასეთივე მაგალითი: 1780 წლებში თფილისში სცხოვრებდა ერთი ვაჭარი, სტეფანე ზუბალაშვილი დღევანდელ ქველმოქმედ ზუბალაშვილების პაპის იაკობის ძმა. ამ სტეფანეს საქართველოში და ნამეტურ თფილისში ვაჭრობის საქმე კუდათ წაუვიდა, მან აქაური ზარალი ვეღარ აიტანა და 1798 თუ 1799 წ. ინდოეთს გავგზავრა სავაჭროთ და საცხოვრებლად.

სტეფანე ზუბალაშვილიც ინდოეთში დარჩა და საქართველოში აღარ დაბრუნებულა საცხოვრებლად. იგი გარდაცვალოდა 1840 წლებში. დიდი ქონების და შეძლე

უზომოთ დამწერებულნი ანჩიკა, კატო და თამარიკო წერეთლები ვაუწყებთ ამხანაგთ, მეგობართ და ნაცნობთ უდროვით დაკარგვის უფსაყვარელის მძის კორნეტის ყაბარდინის პოლიკისას

კუკულის (დავით) წერეთლისას.

დაკარგულა ნოხდება 15 ივნისს, დღით ოთხშაბათს, დილის ცხრა საათზე, ს. ითხვისში.

ამავე საკითხის შესახებ რუსუ. ვედ. სწერს:

„დღეს რუსეთის საზოგადოებრივ სწავლას მუშაობა განათლების მინისტრთან ერთად, რომ ჩვენი სკოლების უნუგეშო მდგომარეობა გამოაგონებოთ და განსხვავების გზაზე დაგვიყენოთ“.

ახალი ამბავი.

გუშინ, დილის მატარებლით, სამსახურის გამო, თბილისს გავმგზავრა ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდვიაჩი. მის მოვალეობას შესასრულებს ვიცეგუბერნატორი პოლოცენიკი ბ-ნი ვენცელი

ქუთაისის საფოსტო განყოფილებაში ამ ეამთ ფოსტის ამანათებით დიდ ძალი მოცივის ჩაის აგზავნიან.

ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურობის წინამძღოლმა თ დ. ო. ნივარამდე გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეთა შტატი

1 კავკასიის ოლქის ინჟინერი ბ-ნი ცეიტლინი ქიათურიდან უკვე დაბრუნდა ქუთაისს.

20 ივნისს, ქუთაისის ქართული გიმნაზიის VII კლასის 11 მოწაფე, მასწავლებლების შიშველი სანიკიძისა და პოლოცენ მოდებამის ხელმძღვანელობით, გაემგზავრებინ ბადადის გზატკიცილით და, ზეკარის უღელტეხილით ექსკურსანტები გადავიდნენ დ. აბასთუმანს, ქ. ახალციხეს, ბორჯომს, სურამს, გორს, მცხეთას და შემდეგ ჩვენს დედა ქალაქ თბილისს, სადაც დარჩებიან რამდენსამე დღეს შემდეგ გაემგზავრებიან კახეთის რკინის გზით ქ სიღნაღსა და თელავს. ექსკურსანტები იმოგზაურობენ დაახლოვებით 15 ივლისამდე. ამის შესახებ უკვე ეცნობა გუბერნატორს.

მეფის ნაცვლის კანცელარიის დირექტორი ისტომინი სთხოვს ქუთ. გუბერნატორს, შეატყობინოს თუ რა ავადმყოფობით გარდაიცვალა ლეჩხუმის მაზრის წინამძღოლი აწ განსვენებული თ დ. აბასთუმანის ძე გუგუაშვილი და მასთან შეატყობინოს: ქონდა თუ არა რამიმე ვაჭრობის მიხედვით მის ავადმყოფობას, მასზე დაკისრებულ სანიტარული რაზმის შედგენის თანამდებობასთან.

ბის პატრონი იყო. ხოლო მისი კვალი და ცნობები მისმა ნათესავებმა არ ეძიეს და ამიტომ მის შესახებ ყოველივე ცნობა დაიკარგა საშუალოდ.

ასე დასრულდა ქართველების დახლოვების საქმე ინგლისელებთან. დაიკარგა როგორც შეერთების ისტორიის მასალების ისე მოისპო ქართველ ვაჭრობთა სააღმდეგო ისტორიული პირობები, რაც კი ქართველთ ვაჭრობის და დღემ მიცემის საქმეს შეეხებოდა. უნდა ითქვას, რომ არც ამ ვაჭრობა სავაჭრო საქმეთა აღორძინების ისტორია იქნება უმნიშვნელო, მაგრამ საიღამ აღვინშნოთ, როცა მის შესახებ სულ არაფერი ცნობებია დარჩენილი. ეს წერილი თითქმის ერთადერთი პირველი ცნობაა საქართველოს ინგლისთან დაკავშირების შესახებ.

დასასრულ ვიტყვი შემდეგს: ქართველთა და სომხეთა შეერთებას მეტად საინტერესო საიდუმლო ისტორია აქვს.

როგორც ვიცით, ამ საიდუმლოების მიხედვით მეფე ერეკლეს არა ჰქონია ამის მიზეზი ის იყო, რომ სხენებულ შეერთების განხორციელების მონატრების ქრისტიანები იყვნენ.

მეფე ერეკლე კი ქრისტიანებს ისე უყურებდა, როგორც თავის სიყეთის მდომს, საქართველოსთვის გულშემატკივართ. ქრისტიანების პოლიტიკის მეფე ერეკლე და იმერეთა მეფე სოლომონ პირველიც წმინდათ სთვლიდა, სასარგებლოდ, ერეკლე და სოლომონი ქრისტიანთ პოლიტიკის სულ ვერ იცნობდნენ, იფინი კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთის მუსულმანთა პოლიტიკას, ამიტომაც იყო, რომ მათ მუსულმანთა მეფენი ვერ ატყულებდნენ, საქართველოს სამეფოს ვერ სპობდნენ.

ზ. ჯ.

ესა „ბატონი და ყმა“ შ. დანიანისა და ერთმომქედნიანი კომედია არც აქტი არც იქით“ გ. გუნიასი.

7 ივნისს ხოჯევანაშვილი, ქართული პროგრესიზმაში კურსი დაიწყო და წარდგინდა არიან მოწოდების მისაღებათ:

ანტილევიჩი, ანდრიამე, აკოფოვა, აბაშიძე ანა, აბაშიძე პლატონი, ბაბუნაშვილი, ვახოკია, გრიგორაშვილი, ვარდუაძე, გეგეკორი, გელოვანი, ვერუმიძე, იმედაძე, კარპოვიჩი, კანდელია ბუბინა, კანდელია თამარა, მიქაუტასე, მასხარაშვილი, მემმარიაშვილი, მინდიაშვილი, მურვანიძე, ნუცუბიძე, რომანოვსკია, სანოდირაძე, სალუკვაძე, ტყემლაშვილი, თორთლაძე, თოფურია, თევზაძე, ფაღდოვსკია, ფილიპოვა, ჭანიშვილი, ჩხიკვიშვილი, შოთაძე, შომახია, იაკობია, ბაღრძე, ბენდუკიძე, ბოდოკია, ბოლქვაძე, გალუსტოვა, გოგოლაშვილი, ჯავახიძე, ყორყორიანი, ზურაბაშვილი, კობახიძე, კოსტავა, კონსტანტი, ლოლუა, პატარაძე, უგრეხელიძე, ხორდოვა, ტკიტიშვილი, ცნობილიძე, ჩინჩალაძე, შავგულიძე, ეფრამი, კაკაბაძე (გემნაზიაში დაიჭრა ეგზამ.) ლუნდუა (გემნაზიაში დაიჭრა ეგზამ.)

ავსტრიის ასპარეზზე ბრძოლაში გმირულად დიღუბა დიდი მთავრის ყაბარდინის პოლიკის კორნეტი კუკული (დავით) იოსების ძე წერეთელი. ვანსვენებულმა ქუთაისის რეალური სასწავლებელი დასრულა და უმაღლეს სწავლის განაგრძობდა კიევის კომერციულ ინსტიტუტში. სამხედრო სამსახურში მონაღიესეთ იყო.

ღამით, 10 ივნისს, გოსპიტლის ქუჩაზე სიმონ გეგეჭიაძის სახლში შეპარულა ქურდი, რომელსაც მოუპარავს ფულად 10 მან. ქალის საათი ღირებულება 45 მან., კაცის საათი ღირებულება 15 მან. ქურდს დარჩა ფეხსაცმელები, ხოლო თვითონ შეუნიშნავათ მიიძალა.

სახალხო ფურცლის საკუროდღეობა.

უღირსად მივაჩნით „ფურცლის“ კომპანია ამ თვიდან ამ თვამდე და ამის გამო მას ერთ-სეულად არ გამოგვიკანთავსოთ. „საქართველოს“ ნომრები ამის მარჯვ. (გაუგონილოთ და უკანათად ჩავატარებ „შეგობრის“, ჩვენი მეგობრის“ და „სახალხო ფურცლის“ ის წერალები თუ შენიშვნები, სადაც მისეულად ადგადა მორი მორ თქმას ეჭრა, სიმშიქიდას—ლარაქმის და სანაქსის, ხოლო საბუთებსა—დაძმურას გულმომსახობას.

ჩვენი მამართლებს ამენად ორგანიულ შესწრებულად წარმოგვდგენს ჩვენი ქვეყნის მომავალად აღმართებისთან, რომ მას დაუფერებულად, ქსიათობა და ბრწმონრეულთ იერშით გერადგენს დააკლავს.

არას მეთრე მოსაზრება, რომლის ძალითაც, ბევრ შემთხვევაში გაწეუბას ვამგობინებდით. ჩვენებური კამათი ჩამოქვეითებულია კინკლაობამდე, დემაგოგიამდე. ნაცვლად იმის, რომ ახრად და შესაქტეუბა წარმოშვას და გასაღოს, იგი მათ ხაგს და ვაჭრობებს. იგი ასახსნარებს გრძნობას და გემოვნებას. ასეთ შემთხვევაში სინუქ შეგება, მთელი საზოგადოება მაცეპაში ჩვეს.

გვერდად სინუქით ჩაგეუტარებინა „სახალხო ფურცლის“ გასულ კვირის ნომრში მოთავსებული ჰატარს ფულეკტობა; თავდადა ქუთუხედადის დიურადან“, მაგრამ ვაჩნით ამ ფულეკტობის არსებობა დაგვიანს უოველი უხალ გრძნობის მკათხეულის საყურადღებოდ და ეს სპაი მოსაზრებობა:

ზარეკელი, რომ გურჩიოთ უოველ ქართველ მკათხეულის იუდაის ნ ოფისის „სახალხო ფურცელ“ და წაიკითხოს ეს ფულეკტობის რათ დაინახოს თუ რას ჰქვანს გრძნობის, გონებისა და გემოვნების „ოდეაფორი“ სიღუსე-ქობი—დაინახოს და აღმოფთადეს, დაინახოს და სტნას თუ რაის იწინაგებს და ბეჭდავს „სახალხო ფურცელ“, რომელიც სმარად თავს იბურავს სათხოების მანდილით.

მეთრე,—რომ ვაუწყოთ კეთილშობილ მკათხეულის რომ შეესაძლებებოდათ ჰატარს ფულეკტობის თუნდ უნებლოთ, მაგრამ მანდ მათოკაციულებს ზანსხვამ ვაჭრას და ჩვენს რედაქციას ერთი რომელიმე წერილი ჩამოგნდავს, შეიწიროს მისეულად. საჭრათა ეს გათავდასწინებუბა ჰქონდეს ქართველ სახა. გადვებას.

ესსამე,—რომ ამ ჩვენის შენიშვნით „სახალხო ფურცლის“ მკათხეულებსაც ვაგრიდოთ ამ ფულეკტობის გაგრძელებას, რადგან ბნადლაქი, ზტორი ფულეკტობისა, ვადეგ ვაჭარდება გამსახინდავებს...

„საქართველოს“ რედაქცია. „საქ“.

